# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 72

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის № 12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობიდან პირადი განცხადების საფუძველზე გავიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლაშა გვენეტაძე.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში პირადი განცხადების საფუძველზე გაერთიანდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შოთა ჯიშკარიანი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შოთა ჯიშკარიანი.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №12 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან (16 წევრი):

1. მხეიძე დიმიტრი
2. ნერგაძე სანდრო
3. ჩიხლაძე მანანა
4. გვეტაძე ბიქტორი
5. კოსტავა მაგდა
6. ბიბილეიშვილი ჯემალი

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 72
25.06.2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

7. ჭიღვარია გიორგი

8. თამაზაშვილი ალეკო

9. ჩეჩელაშვილი ბესიკი

10. კოპალეიშვილი ამირანი

11. სარალიძე სალომე

12. ნიჟარაძე მარეხი

13. ჯიშკარიანი შოთა

14. ფხაკაძე კობა

15. იობაშვილი გიორგი

16. ჩიტიძე ლანა“

2. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: **ბიქტორ გვეტაძე, ალეკო თამაზაშვილი, ლანა ჩიტიძე** და **შოთა ჯიშკარიანი**, რომელთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით. “.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია